სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/63

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან გასაფორმებელი
შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 33-37-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13, 56-61-ე მუხლების, საქართველოს შრომის კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, „ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/41 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის", ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს შინაგანაწესის", ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/12, 12.02.2024 წ.), ბსუ-ს პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/42, 08.09.2023 წ.), „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" (ბრძანება №01-02/75, 05.06.2024 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან გასაფორმებელი **შრომითი ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 5 ივლისის №01-02/112 ბრძანება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველებში: „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" და „რექტორის ბრძანებები").
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან გასაფორმებელი
შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 01 აპრილის №01-02/63 ბრძანების

დანართი №1
(ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთან
გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა)

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში **„ბსუ“**/„უნივერსიტეტი“/**„დამსაქმებელი“),** წარმოდგენილი **რექტორის** _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული“),** ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **დადგენილების** და დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი **„აფილირების შეთანხმების“** (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილია) **საფუძველზე ვაფორმებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საგანია დასაქმებულთან **შრომითი ურთიერთობის** (შემდეგში „შრომითი საქმიანობა“) **რეგულაცია** ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე:

აკადემიური თანამდებობა	პროფესორი ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი
ბსუ-ს ფაკულტეტის დასახელება	
ბსუ-ს ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება	
საკონკურსო მიმართულება (არსებობის შემთხვევაში)	
ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია **კონკურსის შედეგების** დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **დადგენილება**	**(...../...../.....** *№06-01/.....***)**

1.2. დასაქმებულის აკადემიური საქმიანობა მოიცავს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესით (შემდეგში **-„აფილირების წესი“)** გათვალისწინებულ შრომით აქტივობებს, მათ შორის, დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს, შესასრულებელ ყოველწლიურ (ერთი სასწავლო წლის) სავალდებულო სამუშაო (აკადემიურ) დატვირთვას, ასევე საათობრივი ანაზღაურების წესით შესასრულებელ სამუშაო დატვირთვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.3. ყოველწლიური სავალდებულო სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის შესახებ ბსუ-ს **რექტორის ბრძანებით** (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად განიხილება) განისაზღვრება (აღინიშნება ბრძანებაში): შესაბამისი ფაკულტეტი (ძირითადი სამუშაო ადგილი); დასაქმებულის აკადემიური თანამდებობის სახე/აფილირება ბსუ-სთან/აკადემიური დატვირთვის კატეგორია („ა1"/„ა2"/„ბ1"/„ბ2"/„ბ3"/„გ"); აკადემიური/სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში (შესაბამისი საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სავალდებულო, ასევე საათობრივი ანაზღაურების წესით შესასრულებელი სამუშაო დატვირთვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)); დასაქმებულის აკადემიური საქმიანობის/სამუშაო დატვირთვის სახე (სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება, ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიული/პრაქტიკული/სტუდენტთა სამეცნიერო/ნაშრომის ხელმძღვანელობა და სხვა); სამუშაოს შესრულების პერიოდი (სემესტრები); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (შენიშვნის გრაფაში);

1.4. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ბსუ-ს **შინაგანაწესი**, რომელსაც **დასაქმებული** გაეცნო ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე (დადასტურებულია აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში საკონკურსო განაცხადით (ანკეტით)). ბსუ-ს დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ბსუ-ს შინაგანაწესი და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.5. ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.6. **დასაქმებულის სამუშაო ადგილია ბსუ-ს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მათ შორის ბსუ-ს იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35 - კორპუსები №1-№3), **ასევე ბსუ-ს სარგებლობაში არსებული სხვა ფართი** (სასწავლო/კლინიკური/პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ადგილი) **- ბსუ-ს კორპუსი ან** დაწესებულება (ობიექტი/სივრცე), სადაც წარიმართება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს **ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, **აფილირების წესს,** ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებას, ბსუ-ში აკადემიური საქმიანობისა და შეფასების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge (ველში ,,იურიდიული ცნობარი").

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) აკადემიური/შრომითი საქმიანობა წარმართოს/სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ბსუ-ს შინაგანაწესით (და შესაბამისი სასწავლო განრიგით) განსაზღვრულ სამუშაო დღეებში და საათებში, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების შესაბამისად (ბსუ-ს წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, საქმისწარმოების ინსტრუქცია, ,,აფილირების წესი'', აკადემიური პერსონალის შეფასების წესით გათვალისწინებული აქტივობები, ყოველწლიურად ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა, აკადემიური კალენდარი/ცხრილი, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა/შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტები);

ბ) კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის/მოდულის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს ბსუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები;

გ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ **მატერიალურ ფასეულობებს** და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნება; არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას ან მიაყენებს მატერიალურ ზარალს;

დ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების შემთხვევაში, მისი დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ე) პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირადი ინფორმაცია, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება;

ვ) რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს (ბსუ-ს წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, აკადემიური პერსონალის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივ აქტები) და მათში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge) და დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების ან/და ბსუ-ს პორტალის ან სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე;

ზ) აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს შინაგანაწესით; კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს

ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით;

თ) დაიცვას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის (მათ შორის, პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; პროფესიული საქმიანობისას (მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და გავრცელების პროცესში) დაიცვას სხვა პირთა ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები;

ი) დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო; რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;

კ) დაიცვას: ბსუ-ს მიერ დადგენილი შინაგანაწესი და უსაფრთხოების წესები; უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;

ლ) **აცნობოს დამსაქმებელს და წარუდგინოს მის პირად საქმეში** განთავსებისათვის - პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის), ,,აფილირების შეთანხმებაში" აღნიშნული მონაცემების და პირად საქმეში განთავსებული სხვა მონაცემების ცვლილების შემთხვევაში - განახლებული ინფორმაცია;

მ) შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, აკადემიური თანამდებობის პირის შრომითი საქმიანობისა და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია; გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

გ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების, ასევე აკადემიური (შემოქმედებითი) შვებულების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის, აფილირების წესის, შესრულებული საათობრივი შრომითი დატვირთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად; ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით და ოდენობით (ზეგანაკვეთური შრომის საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად);

ვ) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად და ბსუ-ს შიდა მიზნობრივი პროექტების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლებით (პროექტებში პერსონალის სახით ჩართვის უფლებით), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

ზ) დამსაქმებელთან შეთანხმებით ისარგებლოს შეთავსებით სამუშაოზე დასაქმების უფლებით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის, ,,აფილირების წესის" ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების შესაბამისად;

თ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება;

ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ბსუ-ს შინაგანაწესის და პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, ხოლო დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დარღვევის, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, გაატაროს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და

ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;
ბ) უზრუნველყოს დასაქმებულის აკადემიური თავისუფლება, რათა ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად;
დ) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;
ე) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
ვ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ კუთვნილი შვებულებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;
ზ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით;

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის (განრიგის) შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობით (წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის შეადგენს - ---------- ლარს).
3.2. თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) <u>დასაქმებულზე გაიცემა</u> დაკავებული აკადემიური თანამდებობის, გაფორმებული ,,აფილირების შეთანხმების", აკადემიური დატვირთვის კატეგორიის, შესაბამისი სასწავლო წლისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის მოცულობის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და ,,აფილირების წესის" შესაბამისად.
3.3. სავალდებულო აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის გარდა დასაქმებულის მიერ შესრულებული საათობრივი სამუშაო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექვემდებარება ანაზღაურებას ,,აფილირების წესისა" და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი შრომის ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) შესაბამისად.
3.4. თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) და საათობრივი შრომის ანაზღაურების გარდა, დასაქმებულისათვის წახალისების ღონისძიების სახით პრემიის, ფულადი ჯილდოს ან პროფესიული განვითარებისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტით.

3.5. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის, დასაქმებულის შრომითი დატვირთვის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტის და დასაქმებულთან გაფორმებული წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ---------- - დან და მოქმედებს ------ წლის ვადით ---------- ------- - მდე.

4.2. ხელშეკრულების **ვადაზე ადრე შეწყვეტის** საფუძვლებია:

ა) დასაქმებულის მიერ თანამდებობის საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, ბსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად);

ბ) დასაქმებულის ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება;

გ) დასაქმებულის გარდაცვალება;

დ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა;

ე) დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის ან/და შინაგანაწესის ნორმების უხეში დარღვევა;

ვ) დასაქმებულის მიერ მისთვის წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ მის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ზ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

თ) ბსუ-ს ან/და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებული, სასწავლო პროცესისა და პერსონალის მუშაობის პერიოდული შეფასებების შედეგად მიღებული არადამაკმაყოფილებელი შეფასება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ან/და ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და აკადემიური პერსონალის შეფასების რეგულაციით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული შრომითი ურთიერთობის/საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს**, **რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება <u>და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.</u>

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული **დასაქმებულის განაცხადი,** ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და ბსუ-ს სხვა ძირითადი **რეგულაციების გაცნობის შესახებ,** ასევე მისი **პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის** ხელმოწერილი ფორმა (ფორმები) ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.

5.4. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
ს/კ _____	პ/ნ: _____
მისამართი: ქ. ბათუმი,	მისამართი: _____
რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	_____
	ტელ: _____
	Email: _____
	საბანკო რეკვიზიტები:
ბსუ-ს რექტორი	_____
_____	
ხელმოწერა	_____
	ხელმოწერა